

HEINRICH BOLL STIFTUNG

სამხრეთ კავკასია

14 აპრილი 2011 წელი

ჩანაწერი № 1

ფოტოს საჯარო დებატები იმართება ჰაინრიხ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის „რეგიონალური ბიუროს რეგიონალური საჯარო დებატები ბათუმში, ფოთში და ბურჯანში“ პროექტის ფარგლებში

მედიის როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში

ნინო თუნთია: „როდესაც მიმდინარეობდა გარაუბრების დემონტაჟის პროცესი ფოთში. თავად შევსთავაზე ჩემს მეზობლებს გამოეხატათ საზოგადოებრივი პოზიცია და დაგვეწყო გარკვეული სახის კამპანია, მაგრამ არავინ ხმა არ ამოიღო. ადამიანებს ეშინიათ, რომ მათ გააქტიურებას მოყვება პრობლემები მათ სამსახურში, მათი შვილების სამსახურებში და ასე შემდეგ.“

ირაკლი აბსანძე: „უნა ცოცხალი ორგანიზაცია, იგი ვითარდება და ამიტომ მუდმივად ერთ ტემპზე ვერ ვისაუბრებთ. ყველა ინსტიტუციურ ენას აქვს საერთაშორისო სიტყვები და ეს სიტყვები შევიდა საერთაშორისო ლექსიკონში.“

14 აპრილს „სამოქალაქო განვითარებისა და ინტეგრაციის ცენტრში“ საჯარო დისკუსია გაიმართა თემაზე: მედიის როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. დისკუსია ჩატარდა: ჰაინრიხ ბოლის ფონდის პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს დებატებს, რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ მომხსენებლად მოწვეული იყო, ჟურნალისტი ნინო თუნთია. იურისტი: გიორგი მისიწრაფიშვილი მედიაექსპერტი და ჟურნალისტი: ირაკლი აბსანძე შეხვედრას ესწრებოდნენ მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ირაკლი აბსანძე: მოგესალმებით ყველას, პრობლემა რაც დღევანდელი მედია სივრცეში არსებობს, საკმაოდ შემაშფოთებელია. არაპროფესიონალიზმი, არაკოლეგიალურობა და კიდევ სხვა მრავალი, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება მედიის განვითარებაზე და რასაც ასევე უარყოფითი გავლენა აქვს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე. თუკი ავიღებთ სხვა ქვეყნების მაგალითს, ნათლად დავინახავთ, რომ იქ კოლეგიალობის განცდა საკმაოდ მაღალია. მაშინ, როდესაც ბათუმის „25-ე“ არხი დახურეს, მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალებამ გამოხატა მხარდაჭერა, რამაც საბოლოოდ შედეგიც გამოიღო. ამიტომ მე ვთვლი, რომ პრობლემათა ნუსხა მრავალფეროვანია, რასაც გაანალიზება და გადაწყვეტა სჭირდება. გიორგი მისიწრაფიშვილი (იურისტი): მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის. მინდა ორივე სიტყვით, იურიდიული კუთხით შევხედო თუ რა როლი აქვს მედიას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. დასაწყისისათვის ვიტყვი, რომ მედიის წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევაში მოქმედებენ კანონიდან გამომდინარე, თუმცა, აქვე დავძენ, რომ კანონი მედიის შესახებ ძალიან ლიბერალურია, რაც აძლევს მედიის წარმომადგენლებს ლაიერების საშუალებას.

ნინო თუნთია: მოგესალმებით ყველას და მადლობას მოგახსენებთ მოწვევისთვის. მივესალმები ჰაინრიხ ბოლის ამ პროექტს, ვთვლი, რომ დებატები საუკეთესო საშუალებაა, პრობლემის გადაჭრის გზების საძიებლად. რაც შეეხება თემას, დავიწყებ იქედან, რომ თუკი მედიასაშუალებას არ გააჩნია შემოსავალი, ის ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალების მოზიდვას და ასეთი მედიასაშუალებები არ არიან ხარისხზე ორიენტირებულნი. სამოქალაქო საზოგადოება არის: არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო სტრუქტურები და თავად ქვეყნის მოსახლეობა. მედიის როლი არის შუა რგოლი. მედია არის ინფორმაციის გამტარი. ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულმა მედია საშუალებამ გაიაზროს რა სახის ინფორმაციის გამტარნი არიან ისინი და რამდენად არიან მზად ამ ინფორმაციის გატარებისათვის. მაგალითად ავიღოთ საზოგადოებრივი მაუწყებელი, როდესაც ამ ტელევიზიაზე ვსაუბრობთ, შემძლია ვთქვა, რომ ის არ ასრულებს თავის ფუნქციას. ამის მიზეზად კი შეიძლება საზო-

გადობრივი დაკვეთის არარსებობა დავასახელოთ. საზოგადოების მხრიდან არ არსებობს დაკვეთა რამდენიმე მარტივი მიზეზის გამო: მათ არ სცალიათ, მუდმივად მიადევნონ თვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობას, ადამიანები იბრძვიან თვითგადარჩენისათვის, სწორედ ამიტომ, ისინი უბრალოდ ვერ იცლიან მოითხოვონ მაღალი სტანდარტები. მოსახლეობა ბოლომდე ვერ აცნობიერებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის თითოეულ თანამშრომელს თავად უხდიან ხელფასს. არ იციან, რადგან მათ ამის შესახებ არაფერი უბნება. რაც შეეხება, იმას, რომ რეგიონალური მედია არაპოპულარულია, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი არის ის, რომ ადამიანები ვინც განათლებას იღებენ საზღვარგარეთ ან დედაქალაქში, ამჯობინებენ იქვე აიწიონ კარიერა, საცხოვრებელი პირობები, ხოლო ადამიანები ვინც ბრუნდებიან უკან, თანახმანი არიან დასჯერდნენ შე-

ნამოაზრები. ნინო თუნთია: დიას, ირაკლი გვჭირდება თანამოაზრეები და ასევე გვჭირდება გადაწყვეტილი სად გვინდა ვიყოთ. იქ სადაც ვართ თუ გვინდა გადავდგათ ნაბიჯი წინ, განვითარებისაკენ. იმისთვის, რომ სამოქალაქო საზოგადოება შედგეს, ჩვენ ადგილობრივ მედიას გვმართებს ვუთხრათ მოსახლეობას, რომ მისი უფლებები იმდენად იქნება დაცული და მისი მოსაზრებები იმდენად იქნება გამოხატული, თუ რამდენად აქტიურია იგი. თუ რამდენად აქტიურად ითხოვს ის ყურადღებას ხელისუფლებისაგან და რამდენად აკონტროლებს მედიას. საზოგადოების განვითარება ვერ მოხდება მედიის გარეშე. მედიას აკისრია შუამავლის როლი და უკვე მედიაზე დამოკიდებული, რამდენად პროფესიონალურად შეასრულებს იგი, ამ როლს. ირაკლი აბსანძე: დავამატებ ნინოს ნათქვამს, როდესაც საზოგადოების აქტიურობაზე ვსაუბრობთ, ვიტყვი

დავარქვათ, რომ მედია არის ავადმყოფი მას სჭირდება მკურნალობა. გამოვიცხოთ თვითმკურნალობის მეთოდი. საზოგადოება წარმოვადგინოთ, როგორც მკურნალი. გამოვიდეთ აქედან, დავკვიტოთ მკურნალს რა მოგვარჩენს და ნუ გავხდებით თვითმკურნალები. მივიდეთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და დავკვიტოთ მათ. თვითმკურნალობას სწორად საკვალალო მდგომარეობამდე მიჰყავს პაციენტი.

თვა აბსარიძე (ჟურნალისტი): ჩვენ მივიღოთ საზოგადოების წევრებთან, მაგრამ მოგვხსენებთ ფოთი სხვა ქალაქებისაგან სრულიად განსხვავებული ფენომენია, აქ ადამიანები არიან ინერტულნი და არ არიან აქტიურნი. პირად მაგალითზე შემძლია გითხრა, რომ ხშირად უმნიშვნელო კომენტარები კი დიდი წვალეების შედეგად მივიღოთ მოსახლეობისაგან. თუკი ამბობთ, რომ მედია არის სუსტი, შემეძლია გითხრა, არანაკლებ



თავაზეულ სამუშაო პირობებს. მათ არ აქვთ პრეტენზია, უფრო მეტზე. არ აქვთ სურვილი, გაიზარდონ. ისინი, არ იწრაფიან წარმატებისაკენ. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს მოუწესრიგებელი სამუშაო პირობები, სამუშაო კონტრაქტების არარსებობა. რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ენთუზიატები. ადამიანს რომლის მიზანიც არ არის პროფესიული ზრდა და წინსვლა ის ვერ იქნება კარგი თანამშრომელი. სწორედ ესაა რეგიონალურ მედიაშიც, უმრავლესობა რეგიონალური მედიის წარმომადგენელი ვერ განვითარდა, ისინი დარჩნენ საწყის ეტაპზე. თუკი სამოქალაქო საზოგადოება არ განვითარდება და არ გააქტიურდება, მაშინ მედია ვერ გახდება უფრო პროფესიონალური, უფრო ეთიკური, ხარისხზე ორიენტირებული და კეთილსინდისიერი. ასეთ შემთხვევაში მედიაც ვერასოდეს იქნება მოთხოვნადი და შემოსავლიანი. ირაკლი აბსანძე: 21 საუკუნეში, როდესაც არსებობს ინტერნეტი და უამრავი თანამედროვე ტექნოლოგია, განვითარება ბევრად უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, ყველაფერი ჯადოსნური ვოცის დაქვეით არ მოხდება. ამიტომაც გვჭირდება თა-

რომ საზოგადოებას სიცოცხლისუნარიანობა აკლია. სხვა ქვეყნების მსგავსად, მაგალითად დავასახელებ გერმანიის 60-იან წლებს, საზოგადოებას გამოცოცხლება სჭირდება. ჩვენთანაც უნდა იყვნენ პიპები, უნდა მოხდეს რაღაც სახის გადატრიალება, ამისთვის კი ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წევრები უნდა გავაქტიურდეთ და დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი და მივითხოვოთ უკეთესი. ნინო ხურცია: მოგესალმებით ყველას და მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის. მინტერესებს, საზოგადოების დაკვეთის გამო არის მედია ისეთი სუსტი, როგორც არის თუ პირიქით? მოდი სხვანაირად შევხედოთ ამ საკითხს, დღეს ამ დარბაზში უმრავლესობას წარმოადგენენ მედიის წარმომადგენლები. ყველა მსგავსი ტიპის შეხვედრებზე არის იგივე სურათი. ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან ნაკლები რაოდენობით, ან საერთოდ არ ესწრებიან შეხვედრებს. ერთიდაიგივე სახეების არსებობა და აქტიურობა არის თითოეული ჩვენგანის არასწორი მეწვემენტის შედეგი. მოდი ამ ყველაფერს შევხედოთ ექიმის პოზიციიდან რადგან მე ვარ პროფესიით ექიმი.

სუსტია საზოგადოება. ნინო ხურცია: მე არ ვანცალკევებ სამოქალაქო საზოგადოებას და მედიას. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მივიდეთ საზოგადოების სხვა წევრებთან და გავივით რას ფიქრობენ ისინი და დავკვიტოთ მათ. შევუქმნათ ნიღბი ჩვენს მიმართ, თუკი არ გააჩნიათ. სწორედ უნდობლობა მათი ინერტულობის ერთ-ერთი მიზეზი. თვა აბსარიძე: თუკი მედიასა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შორის არ ჩამოყალიბდა ნიღბი, მხოლოდ მისვლა და გასაუბრება ვფიქრობ დიდ შედეგს არ მოგვცემს. ნინო ხურცია: თვა, გეთანხმები, რომ ნიღბის პრობლემა არსებობს, მედიასა და საზოგადოებას შორის. ამიტომ უნდა ვცადოთ სხვა გზები, სხვა მეთოდები, რათა ადამიანებამდე მისასვლელი გზა გავხსნათ და მათგანაც ადეკვატური ქვეყნები მივიღოთ. მედიის გასაქოებელი საქმე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაა, რადგან თავადაც წარმოადგენს მედია სამოქალაქო საზოგადოებას. ირაკლი აბსანძე: ა/ო „სამოქალაქო